



საბჭოთა მოქონებზე სპონსორს გააოფენა-გაუთიშვე !



სამსახურის განხორციელება



„საბრანინიკები“

კარგია, რომ გავეცანით მედიხსა და ბორჯიასა, ოღონდ, თუკი გავეცალეთ, ვინ მოუვლის ჯორჯიასა?! ვილა დარჩა წაუხველელი: ნანი, ლენა, ფარნა, ბონდო.. მოიარეს ზღვა თუ ხმელი — კანი, ვენა, ვარნა, ბორდო.. ლაინერი „გაგრა-ნიცა“, თბომავალი „გამირი ვერა“, ყველას გვიანდა „ზაგრანიცა“, დუნაი და რივიერა.. ფიქრობს ნუცა: „გაქრა ნიცა, რა აცოცნებებს აწი ამ სულს?! უკან დარჩა „ზაგრანიცა“, ხად ვიყავი, აფსუს, აფსუსი..“ ... ადვილია მოხატულელად: ვინც იქ არის, აქ არ ქველობს! უცხოეთში დაღის ყველა — ვინ მიხედოს საქართველოს?



ილიასებურად

ერთგული ძმები: ტაში, ტყუილი, დემოგოგია.. მათ ხელში მოხდეს რაიმე ძვრები, თან სასიკეთო — არა მგონია! ეს მძლოლიც, ძამო, ჩემთან შეზრდილა, გამოუვლია პირი და ლხინი, სხვადასხვა წერტილი ხშირად შეჭრილა და მოუხიდავს პროდუქტი, ხილი.. სიყალბეს ვანდე ჩემი ცხოვრება, მით დავიფარე ნამდვილი სახე, დემრთმა იმდენი მომცეს ცხოვრება, რამდენიც მისგან ხეირი ვნახე! ჩემი პრინციპი, აი, ეს არი: არავის ნდობა, არავის ძმობა! თუმც წვრილფეხთან ვარ ბრავის მკვებავი, მსხვილფეხა ხალხის მეც ვიცი ცნობა! წავედეთ, სუფრას მივუხსნდეთ ახლა, თავადურადა მე დაგიხვდები! რას ვჭამ და რას ვსვამ, მაგ თვალით ნახავ, ვინ ვარ და რა ვარ, კარგად მიხვდები..

ინემ ემანსიპაციაში

ქალს თუ გალიფე და ჩექმები აცვია, — დიანაც, ეს არის ემანსიპაცია! როცა ქალურობა არ შეჩრჩა პაწია, — აი, ესეცაა ემანსიპაცია! სახეზე სინაზე თუ აღარ აცხია, მაშინ სახეცა ემანსიპაცია!

თუ მინრა-მონრაში არ უჩანს გრაცია,



ეს სიტუაცია — ემანსიპაცია.

„შე ჩემა“ თქვა ისე, რომ არც კი აცია, მანდაც გამოხეთქავს ემანსიპაცია.

„ქენტი“ თუ მოქაჩა და ფერფლად აქცია, — ბოლად გამოსულა ემანსიპაცია.

სმაში რომ დაგჩაგრა და ჩვრად რომ გაქცია, შენი დამქცევია ემანსიპაცია!

საერთოდ, ჩვენი რომ დავა აქცია, აქ დამნაშავეა ემანსიპაცია!

ბოლოს, საქაროდ როს ევასა კაცია, — შევთანხმდეთ: კვლავ და კვლავ ემანსიპაცია!..

ს ა ფ ო ნ დ უ რ ო

აქეთ ფონდი, იქით ფონდი.. ფული თუ გაქვს, ჩვენთან მოდი, შლაგბაუმს არ წააწყდები, არ დაგხვდება არსად ბონდი!

ირგვლივ ფონდი, ყველგან ფონდი, შემსალაროს თუ რამ გქონდა, — ჩხვასთან არა, — ჩვენთან ცხოვრი, არ გეგონოს ფონდი მოდა!

აქეთ ფონდი, იქით ფონდი, რაც არ შედო, რას ვიქმოდი?!

პიცერიაში

დაგელოცოთ, ამ საქმეში ვინც ერია, ვინც გაგვიხსნა ეს ძვირფასი პიცერია! მე რომ ვხედავ, აქ მომხველია იმდენია, გაკოტრება არასოდეს გიწერია!

კოოპერაციული მოძრაობა

ფულეების ტრიალის რომ მქონდეს პატივი, ეგებ მეც გამეხსნა კოოპერაცივი! არსენა, თუ გახსოვთ, მხრებს რომ შეანძრევდა, — მდიდარს ართმევდა და ღარიბს შეაძლევა! ვაითუ, კოოპს რომ ასე ვაყალიბებთ, მდიდარს ვამდიდრებთ და ღარიბს ვაღარიბებთ?!



გამოთხოვება უვიდულად „ბოტინკებთან“

იუგოსლავიას გულდაგულ ნაკერი, ძლივს ნაშოვნ ტალონით თბილისში ნაყოფი.. თქვენ როდეს გაქრთობდათ თოვლი და ნამქერი, ჭყაპი და ტალახი და ჩვენი გზა-ხიდი!..

ჩემთვის მზად იყავით, თუ რამე მიჭირდა, უცბად თუ ჩნდებოდა მარშრუტი საშურის! ეს თქვენ მომბატარეთ მოსკოვი, ბიჭვინთა, სოხუმი, ბათუმი, თელავი, ხაშურის!..

ფეხქვეშ მიგებოდით მორჩილად მრავალგზის, მე კი, მე, უმადურს, ფეხებზე შევიდით!.. ეს არის მადლობა? ეს არის თავაზი? — საბჭოთა წაღები გაგინდათ მე მივიდრედი!..

ჭ ი მ ბ ა რ ტ ი ვ ა

თუ იცი, რა გწამს და ვინ გწამს, ან ფასი რასა აქვს შენ ახლოს?! თუ იცი, რომ ბარით ბარავენ მიწას, წამალს ასხურებენ ვენახებს?!

თუ გესმის გუგუნი რისხვის, ვით მისხს — ჩაქუფრულ ღრუბლიდან?! — არ მოიწმინდება სისხლი მაგ ძარღვგაწყვეტილი შუბლიდან!

ერთ მიტინგზე

ვუსმენდი ორატორს, როდეს ღრმად შეჭრილს, რომელსაც ლოგია ნაკლებად ჰქონდა.. ვუსმენდი და თანაც მკენწლავდა ეჭვი: ვაითუ, მიტინგი გაგვიხდა მოდა?!

... და ხანამ ფრაზეების გრძელდება დოლი, მათ შორის მეც ჩავრთავ პატარა სათქმელს: მიტინგი, იცოცხლე, კარგია, ოღონდ ხომ უნდა მიხვდეთ ხანდაზან საქმეს?!

ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი



— ისე შაკრო მკვია, მეტსახელად კი ტალონას მეძახიან!

განმარტოება

იყო და არა იყო რა, იყო ერთი დიდი, აჭრელებული ქალაქი, რა თქმა უნდა, ცოტა პატიოსანი და ბევრი უპატიოსნო ხალხითა. იმ ქალაქშიც იყო ფაბრიკებიც, ქარხნებიც, სკოლაც, მაღაზიაც, სანყობიც, ბაზაც და ბაზარიც!..

იყო იმ ქალაქში გაზეთის რედაქციაც. რედაქტორი ხედავდა, რომ იმ ბაზარში ყველაფერს ცეცხლი ეკიდებოდა, სპეკულაცია მძვინვარებდა, ქრთამი მზევდებოდა, ფული გროვდებოდა!.. ერთი სიტყვით, რქ მოკალათებული ერთობ საეჭვო პირების წყალობით ათასი ოხრობა და მამაძაღლობა ხდებოდა!

იფიქრა რედაქტორმა: — მაგ ბაზარს ტყავი უნდა გავაძრო, საქვეყნოდ გამოვაჭენო, იქნებ ცოტა წესრიგი დავამყარო. ერთ დღეს თავისთან გამოიძახა განყოფილების გამგე და უთხრა: — ორი-სამი თვით რედაქცია უნდა დასტოვო და ბაზარში კონტროლიორად წახვიდეო! რათაო? იმათა, რომა შიგ იტრიალებ, იმათ ოხრობა-მამაძაღლობას უფრო კარგად გაიგებ და მამხილებელ წერილსაც საუკეთესოს დაწერო!

— ბატონო, აქ ჩემი ხელფასი 250 მანეთია, იქ კი — 70. მაგ ფულით ცოლ-შვილი როგორ შევიწახო, 10 წელიწადია რემონტს

ვაკეთებ, ან ის როგორ დავამთავრო? — არა უშავს, იმ წერილში დიდ პონორარს გამოგიწერ და ყველაფერს აგინაზღაურებო! რაღას იზამდა, დათანხმდა.

დატრიალდა რედაქტორი, სად არ დარეკა, ვის არ შეეხვეწა და, როგორც იქნა, კონტროლიორის ადგილი დიდი ვაი-ვაგლახით გაახერხა. ყველას ეუბნებოდა: — ერთი ობოლი მამიდაშვილი მყავს, ეგ ადგილი იმისათვის მინდაო! სინამდვილეში კი იმ ადგილზე ჟურნალისტი გაისტუმრა.

გამოხდა ხანი, — ის სამი თვეც გავიდა, ოთხიც, ხუთიცა და ექვსიც!.. არც ჟურნალისტი სჩანს და არც მამხილებელი წერილი! ჩუმად შეუთვალა რედაქტორმა განყოფილების გამგეს: — რასა შვრები, დრო გავიდა, კრიტიკული წერილი მომიტანეო!

მეორე დღესვე „ჩაშმოტკილი“ განყოფილების გამგე რედაქციას საკუთარი „ვოლგით“ მიადგა და რედაქტორს მართლაც მიუტანა თეთრ ქაღალდზე ლამაზად დაწერილი... განცხადება სამუშაოდან საკუთარი სურვილით გათავისუფლების შესახებ!

უთხრა რედაქტორმა: — რასა შვრები, აზრზე ხარო? — აზრზე მართლა არ ვიყავი და შენ მომიყვანე, დიდი მადლობელი ვარო! — მიუგო განყოფილების გამგემ და კარი გაიხურა.

დღესაც იმ ბაზარში მუშაობს კონტროლიორად და ცხოვრობს ბედნიერადა. წინა კვირას პატარა გოგოს დაბადების დღე გადაუხადა, თავი გამიყადრა და მე, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, ნახევარი საათით ადრე დამპატიო.

ერთი თქვენი თვალთ უნდა ნახოთ — რა რემონტი, რა ავეჯი, რა ჭაღები, რა ხალიჩები, რა სასმელი, რა საქმელი!..

აგრეა, ზოგჯერ 70-მანეთიანი ადგილი ასჯერ სჯობია 250-მანეთიანსა, აბა!

გონდო გულიაშვილი



მ ო თ ხ რ ვ ა

დეკემბერი და იანვარი ისე გავიდა, თბილისში თოვლის ფანტელი არ ჩამოვარდნილა. ახლა თებერვლის ნახევარია. წელან, მზის ჩასვლისას, ცის ტანობი წითლად ღუღოდა და ქრისტეს სიტყვები გამახსენდა მათეს სახარებოდნ: „შე-რაი-მწუხრდის, სთქვით: „უუდრო იყოს, რამეთუ წიხს ცაი“ და განთიად სთქვით: „ზამთარი იყოს, რამეთუ კსინავს მწუხარედ ცაი“.

გამახსენდა ამის ხეცურული პერიფრაზი: „წუხრა წითლა, — დილა ნწოთა, დილა წითლა — წუხრა წვიმა“ და გავიფიქრე: ხვალაც ისევე დარი იქნება-მეთქი. ჩემდაგასახარად ცოტა ხნის შემდეგ ამინდის ბიურომ გამოაცხადა: „აღმოსავლეთ საქართველოში — ღრუბლიანი ამინდი, თბილისში — მცირე თოვლი“.

კვლავ იმედი ჩამესახა. ღვთის წინაშე, ისიც კი ვიფიქრე: ხომ შეიძლება ამ ერთხელ ამინდის ბიუროსაც ცოტა შეეშალოს და ხვალ ხვავრეულად მოთოვოს-მეთქი. ამ დროს თენთანაც შემოაბაკუნა.

— პაპიკოს გაუმარჯოს!
— ღმერთმა ვაღვრებდეს, ჩემო თენა! ახალი ამბავი უნდა გახარო: ამაღამ ცა-ღრუბულთა მბრძანებელ ელიასთან ვაპირებ წასვლას, ხვალისთვის თოვლი უნდა ვთხოვო.

— კაო, რა, პაპა, მორჩი მაგ ტყუილებს! — მომიგდო და ისევ უკან გაბაკუნდა.
რას ერჩი ბავშვს, არ მენდობა! უკვე რამდენჯერმე გავუმტყუნე, დაპირება ვერ შეევსრულე...

ელია ქათქათა თმწვერიანი მხნე მოხუცი აღმოჩნდა. მეგონა, ოქროს ტახტი ექნება-მეთქი („ახლი-ბაბლი, ოქროს ტახტი, მწიფი ავიდე, მთვარით დავდგი“). მას კი ტახტის მაგიერ ყინულის თეთროცისფრო ეტლი ედგა. ზედ იჯდა მარტომარტო, იქ არც მისაღები და მდივანი გოგო ჩანდა, არც ტრლეფონის აპარატები.

— გისმენთ! („ბატონო“ არ უთქვამს).
— ბატონო ელია, მოგესხენებათ, თითქმის მეოთხედმა საქართველომ თბილისში მოიყარა თავი, სოფლები დაცარიელდა და ჩვენი ქვეყანა თავკომბალას დაემგავსა!..

— მერე მე გითხარით თუ მამაზეციერმა, სოფლები მიატოვეთ და თბილისში შექურდიოთ? — შემაწყვეტინა სიტყვა „ცა-ღრუბულთ ბატონმა“.

— არა, მაგრამ პერი გატუქციანდა, მანქანების გამონაბოლქვი გაზები, სმოგი!..
— მოკლედ მითხარით, რა გინდათ? — კვლავ შემაწყვეტინა.
— მაშინ პირდაპირ გეტყვით: ცოტა თოვლი თბილისშიაც უნდა ჩამოყაროთ, თორემ ძალიან გაგვიჭირდა!

— ოო, თოვლი ჩვენც ძალიან გვიჭირს! — ჩავიქრდა ელია.
შევატყვე, უარის თქმას მიპირებდა, და პირდაპირ მივახალე: — სიმართლეს თუ მათქმევინებთ, ბატონო ელია, თოვლი კი არ გიჭირთ, პროლეტარის დანიშნულებსამებრ განაწილება არ გცოდნიათ! აბა, ეგ სამართალია, დასავლეთი საქართველო თოვლით რომ აავსეთ უკლამდე, თბილისს კი ერთი ისეთი გუნდის სამყოფი თოვლიც არ მიეცით, ახალგაზრდა ბიჭმა გოგოს რომ ესროლოს და მოახვდოს.
— თქვენ რა ხელობის კაცი ხართ?

— ფილოლოგი.
— პოდა, ეკონომიკის ამიტომაც არაფერი გავგვებოთ, — თენა დირებული თოვლი გახლდათ და თბილისს, ძალიანაც რომ შენს ვეწნოა, ვერ მიეცემდი, თანაც მიმდინარე წლის დათვლებს სწრაფად რომ დათვლით, თანაც მიმდინარე წლის დათვლებს სწრაფად რომ დათვლით, თანაც მიმდინარე წლის დათვლებს სწრაფად რომ დათვლით... ამათაც ახალ-ახალი გაუთვალისწინებელი პრობლემები გავგვიჩინა!..
— ბატონო ელია, ამხელა სივრცე გაქვთ, ასეთი წვიმით გავდენთილი ღრუბლები... თქვენი ერთი შებერვა და ის წვიმა თოვლად იქცევა.

— მართალია, მაგრამ მარტო თბილისს ხომ არ უჭირს თოვლი. თოვლს ითხოვს მცხეთა, ითხოვს სართიჭალა!..
— მცხეთა, პო, ძველი დედაქალაქია, იქაა დიდებული ჯგარი, სვეტიცხოველი და ქართველი ერის გოლგოთა — წიწამურცი. ეგ სართიჭალა რაღა ჯანაბის ნატეხია?

— თქვენ, ეტყობა, ტელერეპორტაჟებსაც არ უყურებთ. სართიჭალა ის სოფელია, რომელსაც ზაფხულობით უწყობა ახარობს, ზამთარში კი — უთოვლობა. როგორც გადმომცეს, უთოვლობამ ვირთხები და სხვა მღრღნელები ისე გაამარავლა, ლამის სოფლები აიყაროს. იმ დღეს ქალბატონი ეთერიც ბრძანდებოდა თოვლის სათხოვნელად, მაგრამ ბევრს ვერაფერს დავპირდი.

— ეგ ქალბატონი ეთერი ვინდა? ის ხომ არა, სართიჭალას ეტი-მოლოგიურად სა-თ-ს რომ უკავშირებს?
— დაახ, ის გახლავთ და, ახლა ვფიქრობ, ცოტა თოვლი სართი-ჭალასაც გამოეყუო.

— უთოვლობა მარტო გარეკახეთს კი არა, შიგნიკახეთსაც აწუხებს. ზამთრის გვალვამ ჩაახშო შემოდგომის ნათესები ანდა გაღვივებამდე მტვერთან ერთად თესლიც წაიღო ქარმა.
— მერე ალაზნის სარწყავი არხი რას აკეთებს?

— ალაზნის არხს ზამთარში კი არა, მგონი, ზაფხულშიც არ ჰყოფნის წყალი. მერე ზამთარში რწყვა სად გაგონილა?
— საკუთარი ფონდიდან ხომ მივეცი გარკვეული რაოდენობის თოვლი შიგნიკახეთს ამას წინათ.

— დალოცვილო, ერთი ნიჩბისპირი თოვლი ეყოფა იმხელა ზვრებს, იმხელა ბაღ-ვენახებს?
— აბა, მეტი მე არა მაქვს.

— კი, მაგრამ იმ ოფლიკეტული და ნალოლიავეები ბაღ-ვენახებისათვის ზაფხულსა და შემოდგომაზე სეტყვას ხომ ადვილად მოულობთ? — ვუსაყვედურე მე. — „ეგლიაო, მთა-მთა იარეო“ — შემოგალადებთ მთელი საქართველო, როდესაც ეტლს გააქროლებთ მეხთატებით, თქვენ კი სულ ქვემოთ და ქვემოთ იწვეთ, მსხმოიარე ზვრებს გადაჯვავთ ხოლმე. ეგ როგორდა?

— თქვენ, როგორც ჩანს, არც მეტეოროლოგიისა გავგებთ ბე-ერი რამ. როდესაც ჩვენთანაც, თქვენი აგროსამრეწველო კომპლექსებისა არ იყოს, ცალკეული სამსახურები გავაერთიანეთ, „ჭირნახულის სამმართველო“ შექმნა ლაბორატორია, სადაც მსხვილმარცვლოვანი სეტყვის დამზადება დაიწყო მარცვლეული კულტურებისა და ვენახების გასანადგურებლად. ეს იმათი საქმეა.

— მერედა, რით არის გამართლებული ეს ბოროტება?
— იმით, ჩემო ბატონო ფილოლოგი, რომ ქართველებმა მიწის ყადრი და მიწის ბატვისცემა დაივიწყეთ: მიწას იმას სთხოვთ, რის მოცემაც არ შეუძლია; მოიგონეთ ათასი შხამქიმიკატები, რომლებითაც მარტო სარეველებსა და მავნე მწერებს კი არა, თვითონ მოსავლასაც წამლავთ, წამლავთ მთელ ფლორასა და ფაუნას; ამან გადააშენა თქვენი მინდვრებში მტრები, გნო-კაკაბი, ხოხობი, მწყერი და მრავალი სხვა ფრინველი. ამასაც არ სჯერდებით: ჩეხთ ვაზებს და თესავთ საზამთროს, რომლის შხამებით გაძევილ ნაყოფსაც მამასისხლად სთავაზობთ თქვენსავე მოძმებს. იმით, ბატონო ფილოლოგი, რომ ჩემს საელიაობებზე, მაღალ მთებზე, სადაც მე ოდესაც პატვის მცემდნენ, აზილეთ ზარბაზნები და ჟანგიონტურებს გვიბათქუნებთ, რომელთა ნარჩენებითაც თქვენსავე ჭირნახულს წამლავთ და ანადგურებთ. დაბოლოს, იმით არის გამართლებული ეს ღონისძიება (და არა „ბოროტება“, როგორც თქვენ ბრძანებთ), რომ ყურძნის წვენში ურევთ ათასგვარ „მახტიმოლირებელ“ ქიმიკატებს და წამლავთ ერთმანეთს. ვიღრე ამ ახალშექმნილ ბარბაროსულ ჩვევებს არ მოიშლით, „ჭირნახულის სამმართველოს“



ლაბორატორიაც იმუშავეს. — მიმაყენა კედლთან „ცა-ლრუბელთ ბატონა“. მე მაინც ვცადე შეაკმათება:

— ბატონო ელია, მე ისიც ვიცი, რომ შხაპიმიკატებამდე და მიწის ყადრის დაქარგვამდეც სჯილით საწყალ გლეხებს ხან სეტყვითა და ხან გვალვით. ალბათ თქვენ ასწავლილით გლეხის ქალებს: გვალვის დროს უდელში შეებით, წყლის ხენა დაიწყეთ და წვიმას გამოვლუშებო.

— მე არ მისწავლებია! — მორცხვად ჩილაბარაკა ელიამ. — ამ ჩვეულების შესახებ, — განვარტე მე, — სათანადო ცნობები აქვს მოყვანილი ჩვენს სახელოვან ისტორიკოსს დიდ ივანე ჯავახიშვილს და ხალხურ პოეზიაშიაც მოიპოვება სათანადო ცნობები. აი, მაგალითად, ფშავეში, სოფელ შარახევში, წყლის ხენას შესწრებია აწ განსვენებული ბოძათ დავითო და ლექსიც უთქვამს. თუ თავს არ შეგაწყენთ, ზეპირად მახსოვს ის ლექსი.

მეტამტეხელმა მომცა ნიშანი, რომელიც ასე უნდა გამეგო: „თქვი, ჯანაბას შენი თავი“ — რ. მეც მოვახსენე:

ერთ ახალ ამბავს შევეხწარ ახალ კულტურის ხანშია: მარაუღო დედაკაცები გუთნითა ხნავდენ წყალშია.

მე ჩემის თვალით ვიხილე, გადავდეგ ბექის თავშია; მსხვილ-მსხვილებ წამოერჩივა, შეება გუთნის თავშია,

ერთ კი ხორჯაის ქალ იყო, ღონეცა აქვის მკლავშია, — შესაძე გამეცვალა, არ აყენებდა კვალშია.

ერთ რასამ გუთნად ეჭირა, გამოვდეგ იყო ხენაშია, ორი-სამ მეხრეცა ჰყვანდა, სახრითა სცემდენ თავშია.

შავშინდი, ისე გავიგე, მითომ გიუბით ხავსეა.

„რას ხაღით, დედაკაცებო, — ვიკითხე, — საქმე რაშია?“

„მით მოვალის ავღარი, ეს საქმე ქვეყნის ფანია!“

მოზრუნდენ დაღალულები, შაქურდენ ბექის თავშია.

„დეკანოზმ“ ქადა გაუჭრა, მეღვინემ ღვინო ახშია.

სამი დაანთეს სანთელი უფლისად ვედრებაშია:

„შენ გენაცვალე, უფალო, გავხვებე წვიმა-წყალშია...“

წმინდა გიორგიმ დასწყისო, დედაკაცები ნავსია, —

იმ ღამეს მოკლეს პართელი, ღურბელ სუ გაჭრა ცაშია.

— ეგ გვალვის შესახებ. ერთსაც სეტყვის შესახებ მოვახსენებთ და ამით მოვრჩებო! — სხაპანსუბით მივაყარე ამინდის განმგებელს ისე, რომ მისი აზრის გამოთქმასაც აღარ დავუცადე. — აი, როგორ უსეტყვავდით თქვენ ჩემს წინაპარ ხევსურებს ცოდვა-ჭირით ციფაბო ფერღობებზე მოყვანილ ქერს:

„დაიღწის, დახკრისაო, დახკრის, დანათისაო:

„ამას კიდევ აქვინაო!“ — დაიღწის, დახკრისაო.

დაიღწის, დახკრისაო, მე ქვე ვერა მნახისაო, —

ბექის ძირში ვეკრიდილი, ტომრის ძველი მეკრისაო!

— რაღაც არა ჰგავს ეს ჰუმანურ საქციელს, ბატონო ელია! — დავამთავრე მე.

— ეგ რაღაც ძველი ამბები მოიგონეთ და არ მახსოვს, მაგრამ უღანაშულოდ არც ფშავლებსა და ხევსურებს დავსჯილი. ეტყობა, ელიაობას სანთელ-საწირს მაკლებდნენ, ეგ კი არავის ეპატიება! ხომ გახსოვთ, იესუმ რომ ბრძანა: „შიეციო კეისრისია კეისარსა და ღმრთისაი ღმერთსა“.

უცებ გურული ყადის კაფია მომადგა ენაზე:

— „რომ უძახეს: „ღმერთს ღმერთისა, კეისარს კი კეისრისა!“ გლეხმა ამდენს ვერ გაუძლო, ორთაშუა გეისრისა“, — მაგრამ ძა-

ლიან განაწყენებას მოვერიდე და ეს კაფია ელიასთვის არ მითქვამს. კვლავ თხოვნაზე გადავიდი:

— გაენაბოთ ისტორიას თავი, ბატონო ელია, მაგრამ ცოტა თოვლი თბილისისთვის როგორმე უნდა გაგვიხერხოთ, ამდენი სივრცე გაქვთ, ამდენი ღრუბლები. ისე, ჩვენც ხალხი ვახსოვდებით. ელიამ მევეთრად აიქნია ხელი და სიტყვა გამაწყვეტინა: „ჩვენი მგონია, იფიქრა: ქრთამის შემოთავაზებას მიპირებო.“

— კაცო, მაგ ღრუბლებს რომ მისჩერებხარ, ეგენი ზოგი იჯარით მაქვს გაცემული, ზოგიც კოოპერატივებმა აიღეს. ჩვენთან ახლა ერთი სნოუმენი კოოპერატივ „ჯომოლუნგმას“ ჩამოყალიბებას აპირებს და, იმედია, მომავალ წელს თოვლი თავგესაყრელი გვექნება.

— ნეტარ არიან მორწმუნენი, ბატონო ელია, მაგრამ, თუ ღმერთი გვამთ, კოოპერატივი არ გამაგონოთ! მე ხომ ვიცი, ეგ სნოუმენი ღრუბლებს წვეს გამოსწოვს და ჯიბეს გაისქელებს; პირველი ხარისხის თოვლსაც თავის მეზობელ შერბებს და ჰიმალაელ სნოუმენებს ჩაუყრის. მეორეული პროდუქტებისაგან ნაწარმოებ თოვლყინულს კი ჩვენ მოგვასაღებს მამისისხლად. ჩვენ ჩვენი ზოგიერთი სინდისგარეცილი კოოპერატორის მიერ დამზადებული მომწამლავი პროდუქტები ვერ მოგვიშორებია და ახლა სნოუმენის უხარისხო თოვლ-ყინულით დამზადებული ნაყინით მოგწამლოთ ქართველი ბავშვები?! ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ თქვენცა და თქვენს კოოპერატორ სნოუმენსაც!

გაბრაზდა მეტამტეხელი, აგრე რომ გავუთამამდი უბრალო მოკვდავი და დამცინავ კოლოზე გადავიდა, გამქეილიკა:

— კაცმა რომ თქვას, თბილისელებს თოვლი რა შეაქვად გინდათ? თბილამურები თქვენ არა გაქვთ, ლაჩქიმები და ციგები თქვენ არ გაბადიათ, რომც გქონდეთ, მანქანებით გაჭედოლ ქუჩებში ხომ არ დაიწყებთ ციგურაობას?

დაცივიამ მეც დამაკარგვინა წონასწორობა:

— ძალიანაც ნუ დაიფასებთ თავს, ელია-ბატონო! მე თოვლი თბილისელი ბავშვების გასართობად მინდოდა, თორემ განა არ ვიცი, რომ ეგ თქვენი თოვლ-წვიმა რადიკტიური ელემენტებით არის გაზავებული და, მართალს თუ მათქმენებთ, ჩვენი ჩაი და ციტრუსები მაგ თოვლ-წვიმით არის მოწამლული. თქვენ რომ თქვენნი ცა წმინდა გქონდეთ, ანტარქტიდის თავზე იმხელა ოზონის ხვრელიც არ გექნებოდათ!

— უზრდელი და ბრიყვი ხარ, ვილაცა ხარ!..

— სიმართლეს რომ გეუბნები პირში, იმიტომა ვარ ბრიყვი და უზრდელი? შე ბიუროკრატო და მეშინაო, ახლა საჭაროობაა, სადა გგონია შენი თავი?!

ელიამ უკან გადაყო ხელი, მთვარისხელა გუნდა გადმოიღო, მკვირცხლად გამომიქანა და, თავის მოზრუნება ძლივს მოვასწარი, შიგ კეფაში მთხოვია.


თვალელებიდან ნაპერწკლები (თუ თოვლის ფანტელები) წაშომცვივდა, ის გუნდაც თოვლის ფიფქებად დაიფშვნა და ჩემთან ერთად თავქვე, დედამიწისკენ წამოვიდა.

გამეღვიძა. ფანჯრის წინ, ქადრის ტოტებზე ჰიჩხლი იდო. მიწას კი თოვლისა არა ეტყობოდა რა. დაბარებულიყვით მოვარდა თეონა. ნამძინარევი, საყვედურით სავსე თვალელები შემომცქერის და მეუბნება:

— სულ ეგ არის შენი თოვლი? კაი, რა, პაპა, კაი, რა!..

ალექსი ზინჯარაული

ნახ. ბ. ზუზაშვილისა



49.

დადგინეთ ემოცია

ნოვალი

ემოცია თვალის ქუთუთოები ჯერ ამქაჩა, შემდეგ დამქაჩა. ენა გამომყოფინა. პატარა სამედვიციონო ჩაქუჩი რამდენჯერმე მომიკაქუნა და დაბეჭვით მი-თხრა:

— დადებითი ემოციები გპირდებათ!

— ბატონო?!

— ნერვები გაქვთ დაძაბული, ეტყობა, უარყოფით სტრესებს ძნელად იტანთ! ეს, თავის მხრივ, მოქმედებს გულზე, ამიტომ უნდა ეცადოთ დადებითი ემოციების მიღებას!

— კი, მაგრამ, რანაირად?!

— სრულიად უბრალოდ: გულთან არაფერი მიიტანოთ, ნერვებს არ აპყვეთ, ყურადღებას სურათებს ნუ მიაქცევთ! ახლა ეს წამლები მიიღეთ! ერთ კვირაში გამოიარეთ!..

დილით ავდექი თუ არა, ცოტა წავივარჯიშე და სამსახურისკენ გავუღდექი გზა. ავტობუსი მალე მოვიდა, თუ ამას მოსვლა ჰქვია, ქშენით და ნაინფარქტალი კაცივით ამოჰყვა აღმოსა... რაღაცამ გაიღრქიალა, ამ დროს წესით კარები უნდა გაიღოს, მაგრამ კარი ისედაც ღია იყო და მგზავრებით დახუნძლული ავტობუსი ნაავარიევი გემოვით ცალ მხარეს იყო გადახრილი!.. დამხვდურებმა ენერგიულად შევუტრეთ მოძრავ ციხესიმაგრეს, მაგრამ ამაოდ!.. მეციხოვნეებმა იერიში მოიგერიეს და ავტობუსი ისე წავიდა, ერთი კაციც არ მიმტეხებია. არც ტროლეიბუსში იყო სიხალავთე, მაგრამ, რადგან სამსახურში დროზე უნდა მივსულიყავით, თავგანწირვით ვეკვეთეთ ტროლეიბუსის ნახევრად ვადებულ კარებს!.. ახალგაზრდებმა იმარჯვეს, ხანდაზმულები, ვისაც ძველებური ენერგია და სიმკვირცხლე არ აღმოგვაჩნდა, ისევე ადგილზე დავჩრით. ნერვულობა დავიწყე, ვითუთ სამუშაოზე დამავიანდეს, მეტაბელე მხოლოდ ათ წუთს უთმობს მიმსვლელებს!.. მაგრამ უმალ გამახსენდა ექიმის დარიგება და გომიემბული დავხვდი მეორე ტროლეიბუსის მოსვლას. შესვლით კი შევედი, მაგრამ ფეხის დასადგმელი არსად იყო, დიდხანს წეროსავით ცალ ფეხზე ვიდექი. ბოლოს დადოლობა გადაწყვიტე მეორე ფეხიც დამესვენებინა. ჩემი ფეხის დადგმა და ქალის შეკივლება ერთი იყო:

— შე ილიოტო, არ იცი, რომ ფეხი ადამიანს არ უნდა დააბიჯო და ისიც ქალს?!

— მაპატიეთ, ქალბატონო, მე უნებურად... — უნებურად, უნებურად!.. რა სულწასულები ხართ დღევანდელი მაშაკაცები! არ შეგეძლოთ სხვა ტრანსპორტისთვის დაგეცადათ? ხომ ხედავთ, რა ჰედავა?! „დადებითი ემოციები!“ — ფაშახსენდა უცებ ექიმის სიტყვები და გაკაპასებულ ქალს, რაც შეიძლებოდა, თავზაიანად გავუღიმე.

— უყურეთ ამ მაიმუნს, კიდევაც რომ მეჭლანება?!.. არც კი რცხვნიან ამ ხნის კაცს!.. როგორც იყო, სამსახურამდე მივალწე, მაგრამ სატაბელე უურნალი უკვე რკინის სეიფში იყო ჩაეტილი.

— ქალბატონო თამარ, — მორიდებით მივუახლოვდი მეტაბელეს, — იცით, ტრანსპორტი ძალიან გადატვირთული იყო!..

— ცოტა ადრე უნდა ადგეთ, ბატონო საშა! თუ ეს არ შეგიძლიათ, ვინ გაძალბებთ, გადით პენსიაზე და დაქვით კიროვის პარკში!

— ქალბატონო თამარ, მე თმები მაქვს გათეთრებული, თორემ პენსიამდე კიდევ ათი წელი მაკლია!..

— მე სულაც არ მინტერესებს თქვენი ასაკი!

ქალბატონი თამარი გაუთხოვარი იყო და ასაკის ხსენებას ძალიან მტკივნეულად განიცდიდა. მივხვდი, თხოვნა ამაო იყო, თან ვგრძობდი, „დადებითი ემოცია“ ხელიდან მეცლებოდა, მეტაბელეს საჩქაროდ გავეცალე და ჩემი სამუშაო ოთახისკენ წავედი.

ახლა არ ღირს იმის ანგარიში, სამსახურში დადებითი ემოციები ჭარბობდა თუ უარყოფითი, მაგრამ ზუსტად 6 საათზე გამოვედი სამსახურიდან და მალაზიაში შევედი, რაღაცები უნდა მეყიდა, დასახარჯი თანხაც, რასაკვირველია, წინასწარ მქონდა დათვლილი. სამწუხაროდ, ჩემი ბუღალტერია არ დამეხვებოდა გამყიდველების ანგარიშს, გარდა ამისა, ნაყიდი საქონლის წონა აშკარად

არ ემთხვეოდა გადახდილი ფულის რაოდენობას!..

— უეცრავად, მაგრამ კარტოფილში 50 კაპიკი ზღმეტი რატომ გადამახდევინეთ?

— იმიტომ, რომ არჩევით მოგეციო! — არ დაიბნა გამყიდველი.

— რა არჩეულია, ვერ ხედავთ?! ბალურიდან თხილივით ცვივა, თანაც წონაშიც დამაკელით!..

— ბიძი, ეს კარტოფილი მე არ დამითესავს და არც ამომითხრია, რასაც მაძლევენ, იმას ვყიდი, თუ არ მოგწონთ, ნუ აიღებთ!

გამყიდველთან ჩემმა დავამ ზოგიერთი მოუთმენელი მყიდველის აღშფოთება გამოიწვია.

— ბოლოს და ბოლოს, მორჩებით თუ არა ამ ბაზარს?

ვიღაც მუტრუტუმა ისე ენერგიულად გამოიწვია ჩემგან, რომ დაღობი ემოციავე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. მალაზიიდან სისწრაფოდ გამოვედი. სახლში ცოლმა ნავაჭრი დამიწუნა, თან წინ ქვითარი დამიღო:

— კომუნალური გადასახადები და სინათლის ფულია! ხომ გეუბნებოდი, დროზე შევიტანოთ-მეთქი?! არ დამიჭერე და ა, ბატონო, ეს 30 მანეთი, ჯარიმაც დაემატა!

ამ „უარყოფით ემოციაში“



სხვებს ნამდვილად ვერ დავადასტურებდი. ჩემი დაბადების 50-ე წლისთავზე ის ათკაციანი სუფრა რომ არ გამეშალა, ხომ გადახდილი მექნებოდა ყველაფერი, არც ჯარიმას ავიცილებდი, მაგრამ „დადებითი ემოციების“ ძებნაში ცოლს გავუტყინე.

ცოლმა დაქვებით შემომხედა:

— რა იყო, ძალიან გასახარი ამბავი გითხარი თუ ლატარიაში მოიგე რამე?

— რისი ლატარია, ჩემო ნინუცი, ემოციებს ვიგებ, ემოციებს! — რა ემოციებს?!

ცოლის თვალეში ეჭვთან ერთად შიშიც შევამჩნიე, მან ცოტა ხანს დაქინებით მიცქირა და ბოლოს ჩუმად მითხრა:

— საშა, ცუდად ხომ არა ხარ?

— რას ამბობ, ჩემო კარგო, შესანიშნავ ხასიათზე ვარ!

ჩემი სიტყვებისათვის მძივი/და-მაჯერებლობა, რომ მიმეცოცხლო-ცოლს ხარხარით დასწრულე.

„დადებითი ემოციები“ რა არის ქვეყნად მოავალი! — გადავაკეთე რომელიღაც პოეტის ლექსის სტრიქონები. — იცი შენ, რა არის დადებითი ემოციები? ეს არის სიცოცხლე, ენერგია!..

ცოლი თანაგრძნობით მომიახლოვდა, თავი მეკრძრე მომადლო

— დაწყნარდი, საშა, გენაცვალე, ნუ ნერვულობ! ეს არც ისე დიდი თანხაა!..

— მე ვნერვულობ?! როგორ გეკადრება, ჩემო ნინუცი! აბა, ნახე!.. — დავლური ჩამოვუარე, ხელებს მუხლებსა და ფერღებზე ვიტყაბუნებდი, ცეკვის ილიტებს ხანდახან გამამხნეველებ „პოპოპოპო“ ვაყოლებდი, ჩემი ასაკისთვის შესაშური სიმკვირცხლით ვუვლიდი ჩვენი პატარა ოთახის პატარა მაგიდას.

— აი, რა არის დადებითი ემოციები?! — ვთქვი და ქანდაკეტილი სავარძელში ჩავეშვი.

ცოლმა ცოტა ხანს კიდევ მიყურა, თვალეზე ცრემლები შეეშინა, ბოლოს ოთახიდან უხმოდ გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ მეც გავყევი, კარის მეზობელს ცრემლიანი ხმით ელაპარაკებოდა:

— ელიკო, მგონი ვიღუბები!.. საშა კარგად არ არის, ცუდი ფერი ადევს, უზრო სიტყვებს იძახის, რაღაც ემოციები უნდა ვიყიდო, საეჭვოდ იცინის და ხტუნავს ოთახში!..

— ეს გინდობა, შე უბედურო?! — ელიკომ თანაგრძნობით მოხვია ხელი ჩემს მეუღლეს. — გამაგრდი, ახლა გმართებს სიყრადღე, ერთი ნაცნობი ფსიქიატრი მყავს, ახლავე მის მისამართს გამოგეტან!

ერთი კვირის შემდეგ ისევ ვეწვიე ნაცნობ ექიმს.

— როგორაა საქმე? — ალერსიანად შემეგება ექიმი.

— ცუდად, ბატონო ექიმო, დადებითი ემოციების შოვნა ძალიან ჭირს!..

— გააჩნია, ვისთვის! — ექიმმა ეშმაკურად მოკუტა თვალები. — ისე, ასეთი დეფიციტური რომ იყოს, მე შიმშილით ამომძვრებოდა სული, — ექიმმა ვაციანდა ისევე ახალი რეცეპტი გამომიწერა.

P. S. ჩემი გასაჭირი დაწერე და „ნინაში“ მივიტანე, შემპირდნენ, დაგიბეჭდავთო! ჩემში ამან უმალ „დადებითი ემოციები“ გამოიწვია, ერთი დადებითი ემოციაც განადღებული მაქვს: ადგილი ჰონორარით იმ ჯარიმას გადავიხდი. ახე რომ, მთლად ისე არ ყოფილა საქმე, როგორც მეგონა.

ნოდარ ჯალაღონია



ნაძვილი ტყუილები

პირველ აპრილს მოტყუება ყველამ იცის, ადვილია! რა ტყუილსაც ახლა გეტყვით, იცოდეთ, რომ ნამდვილია:

გარდაქმნილი კაცი ნახეს, მიტინგზე არ დადიოდა, დღე და ღამე მუშაობდა, ოფლი ღვარად გასდიოდა!..

კვების კოპერატორებმა ბაზარს ზურგი შეაქციეს, თვითონ მოჰყავთ ჭირნახული, გლეხის ჯიბე დააქციეს!..

საქართველოს დაუბრუნდა ყველა გაქცეული შვილი, უქართველოდ დარჩა აწი არბატიც და სახალინიც!..

რაიონებს სტუდენტებმა მიაშურეს თავის ნებით, აშენებენ, ამშვენებენ ახალგაზრდულ შემართებით!..

ხალს სოფლები ველარ იტევს, გააქვთ ბავშვებს ქრიაშული, ორ მოსავალს ამწიფებენ, ცხოვრება აქვთ მხიარული!..

ახლა ვილას მოატყუებ, თუმც პირველი აპრილია! რაც ტყუილი დაგვიგროვდა, სამწუხაროდ, ნამდვილია!

ჯონი გაგარაშვილი

ახალი კაბა

ყოველი დღე სასწაულის მოახლოება ბევრ სხვა სამხიარულო საზრუნავთან ერთად ქალებს ახალი კაბის შეძენისა თუ შეკერვის პრობლემასაც უჩენს. საზეიმო სუფრას ღამაზე, მოდურ კაბაში გამოწყობილი დიასახლისი ერთიორად ამშვენებს!

დაიხს რაცა ყველაფერი ეს მზად არის უკვე, მისი ცქერით დატკბობას რაღა უნდა! მაგრამ... სცადეთ ერთი ახლა, რამდენ სიძნელესთან არის დაკავშირებული ამგვარი მოხდენილი კაბის შექმნა!

ადრე ყველაფერი ეს გაცილებით იოლი იყო. სულ რაღაც 200-300 მანეთად ისეთ კაბას ჩაიცვამდით, რომ მტერიც და ზოგიერთი მოყვარეც შურით გასკდებოდა.. ოჯახშიც ასი მანეთით ნაკლებ ფასს იტყოდით ყველას გასაგონად. ეს იყო და ეს. იმ ას მანეთსაც ხომ სულ იოლად დაზოგავდით ერთი-ორი თვის განმავლობაში!

ახლა კი... ახლა ასე იოლად ფონს ვერ გახვალთ! ნურც თუნდაც საშუალო გამყიდველთან მისვლას შეეცდებით, უმადლესზე ხომ ღაპარაკიც ზედმეტია! თუ გული, ან წნევა გაწუხებთ, ხაერთოდ სიტყვა გადამყიდველიც და ახალი კაბაც უმჯობესია არ ახსენოთ, თორემ მისვლა, ნახვა და ფასის გაგება შეიძლება სანანებლადაც გაგიხდეთ!..

ამიტომ, ჭერ კიდევ იანვარში გადავწყვიტე კერვა მესწავლა და თვითონ შემეკერა სადღესასწაულო კაბა. ბოლოს და ბოლოს, საუკეთესო საზღვარგარეთულ მატერიას როგორმე 300-400 მანეთად ვიშოვიდი და უფრო იაფი დამიჯდებოდა.

ამის ფაქტში რომ ვიყავი, ჩემმა მეგობარმა მაკამ მომაკითხა და, ახლავე უნდა წამომყვეო, ისეთი ტონით მითხრა, რომ უარი ვეღარ მოვახერხე. ჩქარა ჩაიცვი, თორემ ყოველ წუთს უდიდესი მნიშვნელობა აქვსო!

გზაში კი გავიგე, სადაც მივდიოდით, მაგრამ რაღა დროს! — ტაქსი უკვე მთელ ქალაქში ცნობილი გადაწყიდველის ჯულიას კარებთან გაჩერდა. ის-ის იყო, კიბეზე ავიდით, რომ სამი მანდილოსანი გამოვიდა გაბრწყინებული სახით, ხატაურა, საზღვარგარეთული ცელოფანის პაკეტებით ხელდამშვენებული.

— ჩემი სიკვდილი! ნამდვილად დამასწრეს! ხომ გეუბნებოდი!.. — შემფოთდა მაკა.

როგორც კი შევედი, ჯულიამ ჭერ შეგვათვალღერა, შემდეგ ჩვენი ხარგო ზღაპრული კაბები და ბლუზები გადმოგვიღო.

— ის შავი, ვერცხლისფერი ბრჭყვილა მძივებით ამოქარგული კაბა ხად არის? — იკითხა მაკამ.

— ის... ეს-ეს არის, გაიყიდა 1500 მანეთად!

— მიშველეთ! — იკივლა მაკამ და კინალამ გული შეუწუხდა.

— ამის გულისთვის ბებიჩემის ნაჩუქარი კრაველის ახალთახალი ქურჭი გაყვიდე და სულ ერთი წუთით დამაგვიანდა!..

— რა ვქნა, გენაცვალე! მეგონა, აღარ მოხვიდოდი! დაგერეკა მაინც!.. ისე, ნუ იღარდები! აი, ეს ვარდისფერი ფრანგული კაბა განა იმაზე ნაკლებია? ეს უფრო მოგიხდება! ამას 1400-ად დაგითმობ! დაღარღიანებულმა მაკამ კაბა მოიზომა და მართლაც ძალიან მოუნდა. მაშინვე ულაპარაკოდ ჩაუთვალა ჯულიას ათას ოთხასი მანეთი და ჩამჩურჩულა, შინ ცხრაას მანეთზე მეტს არ ვიტყვი და შენც დამიმოწმეო!

კი ბატონო-მეთქი, ვუთხარი და ჯულიამ ახლა მე შემირჩია მწვანე იტალიური კაბა. რა თქმა უნდა, ისიც ათას ხუთას მანეთად. მეტი რომ ვერაფერი მოვახერხე, ფასონი არ მომწონს-მეთქი, შევკადრე და უკან დავიხიე.

— როგორ გეკადრებთ! ამ კაბას კინოვარსკვლავებიც ვერ დაიწუნებენ, თქვენ გემოვნება არ გქონიათ!

მაკამ ჩემს მაგივრად ბოდიში მოუხადა ჯულიას: — ისე უცებ წამოვიყვანე, ფული არა აქვს წამოდებულში!

— ასე გეთქვათ! დაგაცდით მაკას სათრით, სწორედ თქვენი ხარგოა და მე რე ინანებთ! — მითხრა უკვე დიმილით ჯულიამ.

— მაშინ სულ ცოტა ერთი-ორი წელი მაინც მოგიწევთ ლოდინი! — აღარ მოვერიდე მეც და სასწრაფოდ გარეთ გამოვედი.


მესმოდა, კიდევ ერთხელ როგორ მოუხადა ბოდიში მაკამ განცვიფრებულ ჯულიას და მოახლოებისთანავე მომახალა:

— რას იტყოდა ის ქალი?! მაგასთან მოხვედრაზე ხალხი ოცნებობს და არც ისე ძვირია! ამას წინათ თალიკომ 850 მანეთად ბლუზა გაყიდა და ეს მაინც კაბაა! თანაც ასეთი მეორეს არ ეცმევა ქალაქში!


— ჰო, კაბა მაინც კაბაა! მართლაცდა, ბებიას ნაჩუქარ კრაველის სამი ათასმანეთიან ქურჭს როგორ შეეღიე ათას ხუთასმანეთიანი კაბის გულისთვის?! რას იტყვის მანანა ბებია?!

ლილი მაისურაძე-მორგოზია

ნახ. 3. კუციანსი



წიგნს სკეტი



— გახსოვს, რა საქმეებს ვატ-
რიალებდით?

3 ი თ ო მ ? !

ვითომ ხმალი აღიმართა
უშრომელთა თრგუნვა-ძლევად?!
ვისაც მუქთად ეძლეოდათ,
ვითომ აწი არ ეძლევათ?!
ვითომ „ლევის“ მოყვარულთა
საქმე უკვე მიდის „ლევად“?!
ვინაც ჭერ არს, იგი დაჯდეს
ამ კითხვათა გამოკვლევად!

საჩინო «ნიანკს»

ბასულ წელს თბილისში დაიწყო ერთიანი სამგზავრო ბი-
ლეთების რელიზაცია, რომელზედაც თამაშდებოდა წამახალისებელი
მოგება — ამორტიზირებული ტაქსი ან „ვაზ-21068“-ს შეძენის უფ-
ლება. ამის შესახებ ტელევიზიით ორჯერ გამოვიდა სატრანსპორტო
გაერთიანების წარმომადგენელი. მეტროს სადგურებთან („ვაგზლის
მოედანი“, „რუსთაველი“, „ლენინის მოედანი“) იღვა ტაქსები წარ-
წერით: „ეს ავტომანქანები თამაშდება ლატარიაში ერთიანი სამგ-
ზავრო ბილეთებზე“ და ასაღებდა აღნიშნულ ბილეთებს. გარდა ამისა
გაზეთი „თბილისი“ გასული წლის 19 ივლისს, 19 აგვისტოს და 22
სექტემბერს შესაბამისი სათაურებით — „ტარდება სპეცტირაჟი“,
„... ვოლგა“, „უიგული“ — 25 მანეთი“, „გრძელდება სპეცტირაჟი“ —
თბილისის სატრანსპორტო გაერთიანება თბილისელებს მოუწოდებდა
ტირაჟში აქტიური მონაწილეობა მიეღოთ. ამჟამად 79 კაცს მოგებუ-
ლი გვაქვს „ვაზ-21068“ შეძენის უფლება, მაგრამ ხუთი თვის გან-
მავლობაში სატრანსპორტო გაერთიანება გვიპირდება, საქალაქო საბ-
ჭოს აღმასკომი დაუშვებს ფონდებს და დაგაკმაყოფილებთო. ვითვა-
ლისწინებით რა თბილისში დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებას,
უხერხულად მიგვანდა ქალაქის საბჭოს აღმასკომის ან სხვა ზემდგო-
ში ორგანოს შეწუხება იმ იმედით, რომ, როგორც კი მოიცდიდა ქა-
ლაქის აღმასკომი, ამ საკითხს უმალ გადაწყვეტდა, მაგრამ, როგორც
გამორჩევა, თურმე ქალაქის საბჭოს აღმასკომს საერთოდ არ აღელ-
ვებს ეს საკითხი! რა გამოდის? — სატრანსპორტო გაერთიანება ყო-
ველთვიურად გაზეთებში აცხადებდა ამ ტირაჟების თაობაზე, იყიდუ-
ბოდა ბილეთები, ტარდებოდა ტირაჟები, რომლებსაც რაიადმასკომე-
ბი ხელმძღვანელობდნენ, იბეჭდებოდა გაზეთებში ცხრილები, ჩავაბა-
რეთ ბილეთები შემნახველ ბანკში, გაიარა ექსპერტიზა, ესე იგი,
აქამდე ეს საკითხი ყველას ეხებოდა, ქალაქის საბჭოს აღმასკომსაც,
რაიადმასკომსაც, რომლებიც ტირაჟებს აწვობდნენ, სატრანსპორ-
ტო გაერთიანებას, გაზეთებს, ტელევიზიას, შემნახველ ბანკს, ხოლო
დღეს, როცა ხალხის დაკმაყოფილებაზე მიღვა საქმე, არავის აღარ
ეკითხება! მაშ, რატომ ან რის საფუძველზე ირჩებოდა ყველა ზემოთ
ჩამოთვლილი დაწესებულება? სატრანსპორტო გაერთიანებამ ამ ღო-
ნისძიებით მილიონამდე მანეთი მოგება ნახა! რატომ დღემდე არავის
პასუხს არ თხოვენ? სანამდე შეიძლება გაგრძელდეს ასე?!

გათხოვთ დაგვეხატოთ, რათა სასწრაფოდ დაგვაკმაყოფილონ!
საქარისად მოვითმინეთ..

ბ. ლუხუტაშვილი, კ. ხაჩიძე და სხვები (სულ 11 ხელმოწერა).

პრობლემად რომ ვხდით იმასაც,
რაიც პრობლემა არ არი,
იმიტომ მოგვდის იდეურ-
პოლიტიკური ზარალი!


თუ დამიჯერებთ (ჩემდროთას
ტყუილიც დაეჭვრება), —
„უფროს“-„უმცროსი“ ძმებისა
გვეყო ამდენი ფერება!

ის პატარა — იმ გიძიას,
ეს პატარა — ამ გიძიას:
— ბიძი, თავი დაანებე
თვითრეკლამას ამბიციას,
ერის საქმეს ნუ აყენებ
მაგ უხამსი ამბით ზიანს!

ლოთის ნატვრა
ლონე მომცა და იმისი
ცვირ-პირნი დამანაყენა,
ვინაც დახატა პლაკატი —
„წვენები, ყავა, ნაყინი!“

რალას არ დაგაბრალებენ
ეს ნაბიჭვრები, „ცივნები“? —
უფროსს რო ვუთხრა — „გაამოს!“
მაამებელი ვიქნები?!

ვაი, შევირცხვა კაცობა,
ეგ ულვაში და ქილვაში! —
მტერ-დუშმანს რად ეჯიბრები
თავისინთა კილვაში?!



სატირიკა და იუმორის
ჟურნალი „ნიანკს“ № 7
(1809). აპრილი. გამო-
დის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლშაქია

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
ქაბუა ამირეჯიბი, ნოზაძე
ბართაია, რევაზ თვარაძე,
ჩემალ ლოლუა (მხატვარ-
რედაქტორი), ნოდარ მაღა-
ზონია, ალექსანდრე სამსო-
ნია, ბექან სიხარულიძე
(მთავარი რედაქტორის მო-
ადგილე), ჯანსუღ ჩარკვი-
ანი, თამაზ წიფიციანი.

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადაცემა ასაწყობად
7. 03. 90 წ. ხელმოწერი-
ლია დასაბეჭდად 11. 04.
90 წ. ქალაქის ზომა
60x90/8, ფიციკური ნაბე-
ჭლი ფურცელი 1,5. სააღ-
რეცხველ-საგამომცემლო თა-
ბახი 1,9. საქართველოს კ-
კის გამომცემლობა,
მ. კოსტავას ქ. № 14. შეკვ-
ნა № 609. უფ 04438. ტირაჟი
125.000. ჟურნალი გამოდის
თვეში ორჯერ. რედაქციაში
შემოსული მასალები ავ-
ტორებს არ უბრუნდებათ.

ჩენი მისამართი: 880008.
თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/მგ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მუშაყების — 99-02-38,
მდივან-მე მ ა ნ ქ ა ნ ი ს —
99-76-69.

სატირიკო - юмористиче-
ский журнал «НИАН-
ГИ» (На грузинском
языке). Тбилиси, пр. Ру-
стваели № 42. Издаель-
ство ЦК КП Грузии,
ордена Трудового Крас-
ного Знамени типогра-
фия издательства ЦК
КП Грузии, Тбилиси,
ул. М. Костава № 14.

ფასი 20 კაპ.
ინდექსი 76187



კონტროლნი და სენტიმენტი



პატიმარს ათი წლით კატორღა მიუ-
საჯეს. მერე ჰკითხეს, საბოლოოდ რას
იტყვიო!

— ცხრა წელი კოლმეურნეობაში ვიმუ-
შავე და ხომ ჩამეთვლებაო?

— : — : —

სტალინს ო მ ა მ დ ე გორელი მეგობა-
რი ეწვია.

— კობა, ყველაფერი კარგია, მხოლოდ
გააუქმე კოლმეურნეობები, არ ვარგა! —
სთხოვა მან.

— ვიფიქრებ! როდის მიდისარ? ხვალ?
კარგი! მაქვს მაგარი გურული არაყი, სა-
ჩუქრად გაგატან! ყოველ დილით ერთ ღვი-
ნის ჭიქას გადაჰკრავ და მაშინვე იმდენი-
ვე წყალს ჩაუშვებ, სანამ სახლში ჩახვალ!
მერე მომწერე, როგორი იქნება!

გორში სულ განყალდაო! — აცნობა მე-
გობარმა.

— კრემლიდან კარგი კანონები გამოდის,
მაგრამ სანამ ადგილებზე მივა, წყალდე-
ბაო! — შეუთვალა სტალინმა.

— : — : —

გურული თბილისში ჩავიდა დილის
მატარებლით. სადგური სროლით შეეგება
მგზავრებს.

— რა მოხდა?! — იკითხა მან.

— ჭურში ხომ არ ზიხართ?! საქართვე-
ლოში ხრუშჩოვი ჩამოვიდა!..

ლენინის მოედანზე გასულს კვლავ სრო-
ლა შემოესმა.

— რისთვის ისვრიან?! —

— შენთვის ყურებში ცვილი ხომ არ
ჩაუსხამთ?! თბილისში ხრუშჩოვი ჩამოვი-
და და იმიტომ ისვრიან!

— რავა, სადგურში ვერ მოარტყეს თუ?!

— : — : —

— ბრალდებულო, აღიარე, რომ ტროც-
კისტი ხარ და სასჯელად ათ წელიწადს
გაკმარებთ!

— ტროცკისტი-მოცკისტი არ ვიცი! მე
მენშევიკი ვარ!

და მას თხუთმეტი წელი მიუსაჯეს!

— : — : —

— ამბობენ, საქართველოში ჩემზე უხამს
ანეკდოტებს შენ ავრცელებო! მართალია?

— როგორ გეკადრებათ, თავის დღეში
მსგავსი არაფერი გამივრცელებია!

— თავს ნუ იკატუნებ! ახლავე, აქვე,
შეთხზე ანეკდოტი და მომასმენინე, თორემ
ვინც აქ მოგიყვანა, იგივე ციმბირს იქით
ნაგიყვანს! აბა, ჩქარა!

— ნუ დამლუპავთ, ნიკიტა სერგის ძე,
საერთოდ არ ვიცი, რას ნიშნავს ანეკდოტი!

— ნუ აყოვნებ, თორემ!..

— ანეკდოტისა რა მოგახსენო, მაგრამ
სამი შეკითხვა მაქვს თქვენთან, თუ ნებას
დამრთავთ!

— თქვი!

— რევოლუციის გამარჯვების შემდეგ
ვინ იჯდა ამ კაბინეტში?

— ვლადიმერ ილიას ძე ლენინი.

— ლენინის შემდეგ?

— თითქოს არ იცი! სტალინი!

— სტალინის შემდეგ?

— ვერა მხედავ, მე ვზივარ!

— აი, სწორედ ეს არის ანეკდოტი!

— : — : —

გურულბებამ მოსკოვში დელეგაცია
გაგზავნეს.

— ვინა ხართ და რას ითხოვთ? —
ჰკითხა მათ ნიკიტა სერგის ძემ.

— ჩვენ გურულები ვართ და გვინდა და-
მოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოვიყოთ!
ხრუშჩოვმა საქართველოს რუკაზე დიდ-
ხანს ეძება გურია, მაგრამ ვერ იპოვა.

— ჩვენ მხოლოდ სამი რაიონი გავგაჩ-
ნია, ას ორმოცდაათი ათასი კაცი ვართ!

— ძალიან ცოტა ყოფილხართ, ათი-
თორმეტი მილიონი რომ იყოთ, მაშინ
თხოვნას შეგისრულებდით!

— ათი-თორმეტი მილიონი რომ ვიყოთ,
მაშინ სათხოვნელიც არაფერი გვექნებო-
და! — უპასუხეს გურულებმა.

— : — : —

— რისთვის მოიყვანე, რა ჩაიდინა?

— ანტისაბჭოთა ანეკდოტს ავრცელებდა.

— სახელდობრ?

— თეირანის ვინრო ქუჩაში ავტომანქა-
ნით მიემგზავრებიან სტალინი, რუხველტი
და ჩერჩილი. გზაზე კამეჩი განოლილა და
არხეინად იცოხნის. კლაქსონის სიგნალს

იოტისოდენა ყურადღებაც არ მიაქცია.

ჩამოვიდა ჩერჩილი და დამუქრა: — ინგ-
ლისის საზღვაო ფლოტი ყველაზე ძლიერია,
მოგაყენებ კრეისერებს და ბდღვირს ავა-
დენ, გზა დაგვიცალე! კამეჩი არც განძ-
რულა! მერე რუხველტი ეუბნება: — ამე-
რიკის ავიაცია პირველია მსოფლიოში. გა-
მოვითხოვ ესკადრილიას და დაგბომბავს,
გზა მოგვეცი! პირუტყვს ნირიც არ შეუცე-
ლია! ბოლოს ჩამოვიდა სტალინი და ყურ-
ში ორიოდ სიტყვა ჩასჩურჩულა. კამეჩი
მაშინვე ფეხზე წამოიჭრა და კუდაპრეხილი
გაიქცა. რა უთხრა ასეთი? — ირანში ჩა-
მოვედი კოლმეურნეობების ჩამოსაყალი-
ბებლად და პირველად შენ ჩაგწერო!

— მართალია? ათი წლით ციხეში ჩააგ-
დეთ!

— თქვენმა თანამშრომელმა ბოლომდე
არ მათქმევინა და აქ მომართია.

— მეტი კიდევ რალა უნდა გეთქვა?

— ის კამეჩი გაიქცა, შეჰყარა ირანის
ყველა კამეჩი, მიიყვანა სტალინთან და
სთხოვა, ყველა ჩაგვწერე კოლმეურნეობა-
შიო!

კაცი შინ გაუშვეს.

— : — : —

— ახლა ნალდად დავრწმუნდი, ამერიკას
იარალი სულ არ ჰქონია!

— რანაირად დარწმუნდი?

— ხრუშჩოვს, სხვა რომ არაფერი ჰქონ-
დათ, მნიფე პამიდორი ესროლეს!

— : — : —

ერთი ინგლისელი ჯენტლმენია,
ორი — ჯენტლმენები, სამი — პარლამენ-
ტი; ერთი გერმანელი ფრიცია, ორი — ფა-
შისტები, სამი — ომი; ერთი ფრანგი სიყ-
ვარულია, ორი — დუელი, სამი — რევო-
ლუცია; ერთი იტალიელი სოლოა, ორი —
დუეტი, სამი — ტრიო; ერთი ებრაელი —
სავაჭრო წერტია, ორი — ჭადრაკი, სა-
მი — სიმფონიური ორკესტრი; ერთი რუ-
სი — მუშა კაცია, ორი — მუშა და გლე-
ხი, სამი — პირველადი პარტიული ორგა-
ნიზაცია; ერთი ქართველი პიროვნების
კულტია, ორი — მთავრობა, სამი —
ღმერთმა ნუ ქნას, არასოდეს არ ყოფილა!

შეკრება გორის მათითაშვილმა
(ქ. სოხუმი)